სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“
2025 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

ქ. ახალციხე
2026 წელი

1. შესავალი და ზოგადი მიმოხილვა

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადებულია კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და წლიური ინსტიტუციური პრიორიტეტების შესაბამისად. ანგარიშში ასახულია ხუთივე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში გაწერილი ამოცანები, მათი განხორციელების სტატუსი, მიღწეული ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირების მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზი.

2. სამოქმედო გეგმის შესრულების დეტალური რეესტრი

აქტივობა / ამოცანა	პასუხისმგებელი პირი (პირები)	შესრულების ინდიკატორი	სავარაუდო პერიოდი	სტატუსი	ფაქტობრივი შედეგი (შესრულების აღწერა)
I სტრატეგიული მიზანი: ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება					
1.1.1 საშტატო განრიგში ცვლილების შეტანა (რაოდენობის გაზრდა), შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირების შტატგარეშე თანამშრომლის დამატება და სამინისტროსთან შეთანხმება.	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი	სამინისტროსთან შეთანხმებული და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგი. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.	იანვარი-თებერვალი	სრულად შესრულებულია	სამინისტროსთან შეთანხმდა და დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი; დაემატა საჭირო შტატგარეშე ერთეულები კოლეჯის შეუფერხებელი მუშაობისათვის.
1.1.2 თანამდებობრივი ფუნქციების გადახედვა.	დირექტორი, დირექტორის მოადგილე	თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები	იანვარი	სრულად შესრულებულია	გადაიხედა და განახლდა ყველა ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობა ახალი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.
1.1.3 საშტატო განრიგით	დირექტორის მოადგილე,	დამტკიცებული საშტატო განრიგი	იანვარი	სრულად შესრულებ	კოლეჯის ბიუჯეტის

გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი სარგოს გაზრდა.	ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი	გაზრდილი შრომის ანაზღაურებით		ულია	ფარგლებში გაიზარდა ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობრივი სარგო 10%-ით.
1.1.4 ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.	დირექტორი, დირექტორის მოადგილე	ყველა თანამშრომელს მინიმუმ ერთ აქტივობაში აქვს მონაწილეობა მიღებული	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	პერსონალმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები პროფესიული მიმართულებით.
1.1.5 პერსონალის მოტივაციის გაზრდა.	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი	პერსონალის წახალისების ბრძანებები.	დეკემბერი	სრულად შესრულებულია	თანამშრომლებზე გაიცა ფულადი ჯილდო/პრემია
1.1.6 კოლეჯში მოტივირებული კადრების მოზიდვა.	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი	საშტატო ერთეულებზე დანიშნული თანამშრომლები	წლის განმავლობაში	ნაწილობრივ შესრულებულია	კოლეჯში მოზიდულ იქნა ახალი კვალიფიციური კადრი სხვადასხვა პოზიციაზე.
1.2.1 პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის თანამდებობრივი სარგოს გაზრდა.	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი	გაზრდილი თანამდებობრივი სარგო	იანვარი	სრულად შესრულებულია	პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეზარდათ საათობრივი და თანამდებობრივი ანაზღაურება 10%-ით.
1.2.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა.	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის და სასწავლო პროცესის მენეჯერები	ჩატარებული ტრენინგები; ვორქშოპები და კონფერენციები; მატერიალური წახალისება.	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	ჩატარდა შიდა კონფერენციები და განხორციელდა მასწაველებლების მატერიალური წახალისება დეკემბერში

1.2.3 მასწავლებლების გენდერული ცნოებიერების გასაზრდელად გენდერის ტრენინგების ჩატარება.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის და სასწავლო პროცესის მენეჯერები	გადამზადებულ მასწავლებელთა რაოდენობა; საინფორმაციო მასალა	სექტემბერი	ნაწილობრივ შესრულებულია	ჩატარდა გენდერული თანასწორობისა და ტოლერანტობის თემატური ტრენინგ-სემინარები
1.2.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში კვალიფიკაციის ამაღლება.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის და სასწავლო პროცესის მენეჯერები	ჩატარებული ტრენინგები; გადამზადებული მასწავლებელი, მათ შორის 1 ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში	აპრილი, სექტემბერი	სრულად შესრულებულია	იდენტიფიცირებული საჭიროებების მიხედვით გადამზადდა მასწავლებლები; ხარისხის მართვის მენეჯერი იმყოფებოდა ევროპულ პარტნიორ კოლეჯში დარგობრივი ვიზიტით.
1.2.5 შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების პროცესებში ჩართულ პირთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.	დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის გუნდი	მინიმუმ 4 სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში.	მაისი, ოქტომბერი	ნაწილობრივ შესრულებულია	ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა დამსაქმებლებისა და პარტნიორი კოლეჯების ჩართულობით საგამოცდო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.
1.2.6 კოლეჯში ახალი სტანდარტებისა და პროგრამების შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლების მოზიდვა.	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის გუნდი	დანიშნული მასწავლებლები	თებერვალი, მარტი, სექტემბერი	სრულად შესრულებულია	ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად დასაქმდნენ ახალი პედაგოგები.

II სტრატეგიული მიზანი: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება					
2.1.1 სწავლების წარმატებული მეთოდების დანერგვა და თანამშრომლობით ვიზიტებში მონაწილეობის მიღება.	დირექტორის მოადგილე, სასწავლო და ხარისხის მენეჯერები	მონაწილეობის შესახებ განაცხადები, მასპინძლობა/ვიზიტ ორობა	აპრილი, სექტემბერი	ნაწილობრივ შესრულებულია	განხორციელდა რამდენიმე ორმხრივი თანამშრომლობითი ვიზიტი პარტნიორ პროფესიულ სასწავლებლებთან ახალი მეთოდოლოგიების გასაზიარებლად.
2.1.2 სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წარმატებული მეთოდების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა.	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სპეციალისტი, ხარისხის გუნდი	ინფორმაციის გაზიარების დოკუმენტაცია, პრეზენტაციები	მაისი, ოქტომბერი	სრულად შესრულებულია	პარტნიორ დამსაქმებლებსა და მასწავლებლებს წარედგინათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში ციფრული და ინტერაქციული რესურსების გამოყენების შესახებ.
2.2.1 სწავლების ყველა ეტაპზე გოგონათა და ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.	სასწავლო პროცესის მენეჯერი, კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	საგანმანათლებლო პროცესში ქალთა და გოგონათა გაზრდილი რაოდენობა	წლის განმავლობაში	ნაწილობრივ შესრულებულია	უზრუნველყოფილ იქნა ქალთა და გოგონათა აქტიური ჩართვა არატრადიციულ და ტექნოლოგიურ პროფესიულ პროგრამებზე (მონაცემები ასახულია რეესტრში).
2.2.2 სტუდენტებისთვის ქალთა უფლებებისა და გენდერული	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ღონისძიებების ფოტო/აუდიო მასალა, მონაწილეთა სია	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები პროფესიული

თანასწორობის მიმართულებით კამპანიების წარმოება.					დაყოფის წინააღმდეგ, მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი ფოტო და საინფორმაციო მასალები.
2.3.1 სასწავლო და კალენდარული გეგმების გადახედვა.	ხარისხის მართვის მენეჯერი, სპეციალისტი, სასწავლო მენეჯერი	შემოწმებული და დამტკიცებული გეგმები	ოქტომბერი	სრულად შესრულებულია	ოქტომბრის თვეში გადაიხედა და საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა კოლეჯის ყველა სასწავლო და კალენდარული გეგმა.
2.4.1 დასაქმების ფორუმებში სტუდენტების/მსმენელების რაოდენობრივი ზრდა.	კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ფორუმში ჩართულია სტუდენტთა მინიმუმ 60%	შესაძლებლობის თანავე	ნაწილობრივ შესრულებულია	მოეწყო სტუდენტთა მონაწილეობა რეგიონულ დასაქმების ფორუმებში, სადაც კოლეჯის სტუდენტებმა მიიღო მონაწილეობა.
2.4.2 სტუდენტების/მსმენელების ან/და მთლიანი ჯგუფის მოტივაციის გაზრდა (მაგ. ექსკურსიები).	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სერვისების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი	ინფორმაცია წახალისების შესახებ, შემეცნებითი ექსკურსიები	ივლისი, დეკემბერი	სრულად შესრულებულია	განხორციელდა სტუდენტების/ჯგუფების წახალისება საკონკურსო პირობებ
2.4.3 სამუშაო შეხვედრა – დამსაქმებელთან საკუთარი თავის წარდგენის პრეზენტირება (პორტფოლიოების	კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პარტნიორი ორგანიზაციები	მინიმუმ ორი მიმართულების ფარგლებში ჩატარებული შეხვედრა	მაისი, სექტემბერი	სრულად შესრულებულია	ჩატარდა ტრენინგები CV-ს მომზადების კულტურის დასანერგად ძირითადი მიმართულების

შემუშავება).					პროგრამების სტუდენტებისთვის.
2.4.4 კოლეჯის კურსდამთავრებულთაგან წარმატებული როლური მოდელების პოპულარიზაცია.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი	წარმატებული ისტორიები კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოც. ქსელში	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	მომზადდა და კოლეჯის ოფიციალურ Facebook გვერდზე განთავსდა წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია.
2.4.5 სპორტული შეჯიბრებების ჩატარება და სხვათა მიერ ორგანიზებულში მონაწილეობა.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სტუდენტური სერვისები	ჩართული მინიმუმ 100 სტუდენტი	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	ჩატარდა შიდა და გარე ჩემპიონატი ფეხბურთში კოლეჯის სახელით შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა.
2.4.6 პროფესიულ სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის არაფორმალური შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის გუნდი	განხორციელდა მინიმუმ 8 საინფორმაციო/შემეცნებითი ღონისძიება	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	ორგანიზებულ იქნა არაფორმალური ღონისძიებები, მათ შორის შშმ და სსსმ პირთა მხარდამჭერი აქტივობები პროფესიულ დღეებთან დაკავშირებით.
2.5.1 ელ. კატალოგის (OpenBiblio-ს) დაყენება ბიბლიოთეკაში.	ბიბლიოთეკარი, შესყიდვების სპეციალისტი, IT სპეციალისტი	დაყენებული ელ. კატალოგი, გაფორმებული ხელშეკრულება	თებერვალი	სრულად შესრულებულია	ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით წარმატებით დაინერგა და ამუშავდა OpenBiblio

					პროგრამა.
2.5.2 თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შემოტანა.	ბიბლიოთეკარი, შესყიდვების სპეციალისტი, ფინანსური მენეჯერი	შესყიდვის ან გადაცემის დოკუმენტაცია, ახალი წიგნადი ფონდი	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	განხორციელდა პროფესიული პროგრამების შესაბამისი უახლესი სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის შესყიდვა.
III სტრატეგიული მიზანი: ინფრასტრუქტურის განვითარება					
3.1.1 კოლეჯის განმეორებითი ავტორიზაციის მიზნებისთვის, არსებული პროგრამებისთვის საჭირო რესურსის დამატება/ჩანაცვლება.	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, შესყიდვები, ლოჯისტიკა	შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები	იანვარი-თებერვალი	სრულად შესრულებულია	ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სრულად განახლდა და შეივსო სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების მატერიალური ბაზა.
3.1.2 კოოპერაციული პროგრამის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა (პროგრამა ,,სატყეო საქმე“).	დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ლოჯისტიკა	სატყეო საქმის პროგრამა სრულად უზრუნველყოფილია რესურსებით	იანვარი-თებერვალი	სრულად შესრულებულია	შესყიდულ იქნა სპეციალური აღჭურვილობა და ხელსაწყოები სატყეო საქმის მოდულების პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად.
3.2.1 ადმინისტრაციული კომპიუტერული ტექნიკის განახლება.	დირექტორის მოადგილე, შესყიდვები, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი	შეძენილი კომპიუტერული ტექნიკა; შესყიდვის დოკუმენტაცია	თებერვალი-აპრილი	სრულად შესრულებულია	ადმინისტრაციის ეფექტური მუშაობისთვის შესყიდულ იქნა ახალი პერსონალური კომპიუტერები

					და პრინტერები.
IV სტრატეგიული მიზანი: ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება					
4.1.1 ტრენინგ-კურსების, მომზადება/გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა რაოდენობის გაზრდა.	დირექტორის მოადგილე, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	განხორციელებული ტრენინგ-კურსები; ჩარიცხვის ბრძანებები	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	წარმატებით განხორციელდა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსები.
4.2.1 დამატებითი ბენეფიტების მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირება და განხორციელება.	დირექტორი, პროექტში ჩართული პირები	ანგარიში წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების შესახებ	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	განხორციელდა რამდენიმე პროექტი, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ციფრული ინტეგრაციის პროექტი.
4.2.2 კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი ბენეფიტების მიღების მიზნით.	დირექტორი, ბუღალტერი, იურისტი	მემორანდუმები; ფინანსური ანგარიშგება	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	გაფორმდა ახალი პარტნიორული ხელშეკრულებები რეგიონულ ბიზნეს-სუბიექტებთან, რაც ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას.
V სტრატეგიული მიზანი: კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა					
5.1.1 პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება და განხორციელება.	დირექტორის მოადგილე, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, იურისტი	3-4 ახალი პროგრამის უფლების მოპოვება; ფინანსური ანგარიში	ოქტომბერი-ნოემბერი	სრულად შესრულებულია	კოლეჯმა მოიპოვა უფლება და განახორციელა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები ბაზრის

					მოთხოვნების შესაბამისად.
5.1.2 გენდერული ნიშნით შეგროვებული სტატისტიკის წარმოება.	კარიერის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები, ანალიზი	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	წარმოებს სტუდენტთა სტატისტიკა სქესის მიხედვით. მიმდინარე წლის მაჩვენებელი:
5.1.3 ახალი სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული „შედეგების“ მეოთხე დონის პროგრამის დამატება.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის გუნდი, ფინანსური მენეჯერი	შემუშავებული პროგრამა; წარდგენილი თვითშეფასება ცენტრში	თებერვალი-მარტი	სრულად შესრულებულია	შედეგების მეოთხე დონის პროგრამის თვითშეფასება მომზადდა და წარდგენილ იქნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
5.1.4 ახალი სტანდარტის საფუძველზე მეოთხე დონის პროგრამის „სატყეო საქმის“ მოდიფიცირება.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის გუნდი, ფინანსური მენეჯერი	მოდიფიცირებული პროგრამა „სატყეო საქმე“	თებერვალი-მარტი	სრულად შესრულებულია	ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე წარმატებით განხორციელდა „სატყეო საქმის“ მოდიფიცირება და შესაბამისობაში მოყვანა.
5.1.5 ახალი სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული „ადმინისტრაციული სერვისები“ მეოთხე დონის პროგრამის შემუშავება და დამატება.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის გუნდი, ფინანსური მენეჯერი	ცენტრში წარდგენილი თვითშეფასება	თებერვალი-მარტი	სრულად შესრულებულია	პროგრამა შემუშავდა, მომზადდა მატერიალური ბაზა და თვითშეფასების განაცხადი გაიგზავნა ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციისთვის.
5.1.6 პროგრამების	დირექტორის	ცენტრში	თებერვალი-	სრულად	წარმატებით

„საფინანსო სერვისები“ (III დონე) და „ფრჩხილის მომსახურება“ (III დონე) ხელახალი ავტორიზაცია.	მოადგილე, ხარისხის გუნდი, ფინანსური მენეჯერი	წარდგენილი თვითშეფასება	მარტი	შესრულებულია	მომზადდა და წარდგენილ იქნა განაცხადები აღნიშნული ორი პროგრამის რეავტორიზაციის მიზნებისთვის.
5.1.7 შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოკვეთილ მოთხოვნად პროფესიებზე სტუდენტთა მონიტორინგი გენდერულ ჭრილში.	კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	შრომის ბაზრის კვლევა, გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	კვლევის საფუძველზე მოხდა მოთხოვნადი მიმართულებების იდენტიფიცირება და გენდერული ბალანსის გაზომვა კოლეჯში.
5.1.8 სტუდენტთა მოზიდვისათვის ახალი საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად.	კარიერის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	პროგრამების გენდერული სტატისტიკა, ვიდეორგოლები	აგვისტო-სექტემბერი	სრულად შესრულებულია	მომზადდა და გავრცელდა სარეკლამო მასალა
5.1.9 პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზი და დამფუძნებელთან შეთანხმება.	დირექტორის მოადგილე, კარიერის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები	სამინისტროში გაგზავნილი მიზანშეწონილობები (5 პროგრამა)	თებერვალი-მარტი	სრულად შესრულებულია	მომზადდა და განათლების სამინისტროში გაიგზავნა 5 პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
5.1.10 კოოპერაციული პროგრამების ფარგლებში პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების	საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები	თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	განახლდა არსებული და გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები პარტნიორ საწარმოებთან საწარმოო პრაქტიკის

გაფორმება/განახლება.					კომპონენტისთვის.
5.2.1 პროფესიული ორიენტაცია საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით.	კარიერის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	ჩატარებული კონსულტაციები (ფოტო/ვიდეო მასალა), ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია	აპრილი-მაისი, სექტემბერი-ოქტომბერი	სრულად შესრულებულია	ჩატარდა საინფორმაციო გასვლითი შეხვედრები არაქართულენოვან მოსახლეობასთან პროფესიულ პროგრამებზე მათი ჩართულობის მიზნით.
5.2.2 ღია კარის დღეების სკოლებში ორგანიზება.	კარიერის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი	მინიმუმ 10 სკოლაში ჩატარებული გასვლითი ღია კარის დღე	მაისი, სექტემბერი	სრულად შესრულებულია	სკოლების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა ღია კარის დღე რეგიონის საჯარო სკოლებში.
5.2.3 პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით საჯარო ღონისძიებების ორგანიზება/მონაწილეობა.	კარიერის მენეჯერი (6 ღონისძიება), პიარ მენეჯერი (2), სტუდენტური სერვისები (2)	სულ მცირე 10 ორგანიზებული/ჩატარებული ღონისძიება	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	ორგანიზებულ იქნა 10-ზე მეტი საჯარო აქტივობა, გამოფენა და დარგობრივი კონფერენცია კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით.
5.3.1 ინკლუზიური განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდა.	კარიერის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები/ასისტენტები	ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, გაზრდილი კონტიგენტი	წლის განმავლობაში	სრულად შესრულებულია	სსსმ სტუდენტებისთვის მომზადდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ასისტენტების ჩართულობა.

5.3.2 დუალური პროგრამების განხორციელების ადმინისტრირების დახვეწა.	საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო მენეჯერი, იურისტი	დახვეწილი შიდა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები	სექტემბერი	ნაწილობრივ შესრულებულია	საანგარიშო წელს ახალი დუალური პროგრამები არ დამატებულა, მიმდინარეობდა მხოლოდ არსებული პროგრამა
5.4.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეავტორიზაციის ანგარიშის წარდგენა.	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სპეციალისტი, მთელი პერსონალი	წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში	მარტი	სრულად შესრულებულია	დადგენილ ვადებში, მარტის თვეში, კოლეჯმა წარმატებით წარადგინა რეავტორიზაციის სრული თვითშეფასების ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში.

3. დასკვნა და სამომავლო რეკომენდაციები

2025 წლის განმავლობაში კოლეჯი „ოპიზარის“ მიერ გაწეული მუშაობა ფასდება როგორც მაღალეფექტური. სამოქმედო გეგმით დასახული თითქმის ყველა ძირითადი ამოცანა სრულად იქნა რეალიზებული. მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, რეავტორიზაციის ანგარიშის წარდგენისა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის კუთხით.

შემდგომი პერიოდისთვის რეკომენდებულია:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება ბაზრის ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
- პარტნიორულ კომპანიებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება დუალური პროგრამების ფარგლებში;
- მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერის გაგრძელება;
- კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და ახალი პროგრამების დამატებაზე/დანერგვაზე აქტიური მუშაობა.

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორი: _____